შემოსავლების
სამსახური

ბრძანება N 51313

10/12/2014

რიგი გადამხდელების მიმართ ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების თაობაზე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის მე-10 ნაწილის და "გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანების მე-14 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ვინაიდან ვერ ხერხდება აუდიტის დეპარტამენტის მიერ დანართი N1-ში მითითებულ გადამხდელებზე გამოცემული „საგადასახადო მოთხოვნების" კოდექსის დადგენილი წესით ჩაბარება, აღნიშნულ დანართში მითითებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გადამხდელებისათვის საჯარო შეტყობინებების მიზნით განხორციელდეს მათი საჯაროდ გავრცელება.
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსების მიზნით, დანართი N1-ში მითითებული "საგადასახადო მოთხოვნები" გადაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საფინანსო ანალიტიკურ სამსახურს.
3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრმა უზრუნველყოს დანართი N1-ში მითითებული "საგადასახადო მოთხოვნების" შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე (www.rs.ge) გამოქვეყნება.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: აუდიტის დეპარტამენტის უფროსის #133498-21-14, 09.12.2014 სამსახურებრივი ბარათი.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი